



არაოფიციალური თარგმანი

სტრასბურგი, 2009 წლის 8 დეკემბერი

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE)

დასკვნა #12 (2009)

და

ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (CCPE)

დასკვნა #4 (2009)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ

**დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეებსა
და პროკურორებს შორის
ურთიერთობის შესახებ**

მოცემული დასკვნა, რომელიც ერთობლივად მიღებულია CCJE-სა და CCPE-ს მიერ მოიცავს:

- დეკლარაციას, რომელსაც ეწოდება “ბორდოს დეკლარაცია”;
- განმარტებით ბარათს.

ბორდოს დეკლარაცია

“მოსამართლეები და პროკურორები დემოკრატიულ საზოგადოებაში”¹

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) და ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭო (CCPE), რომელთაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თხოვნით მიმართა მოემზადებინათ დასკვნა მოსამართლეთა და პროკურორთა ურთიერთობების შესახებ, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საზოგადოების ინტერესებშია კანონის უზენაესობა გარანტირებული იყოს მართლმსაჯულების მიუკერძოებელი, სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირებით. საჯარო პროკურორები და მოსამართლეები უზრუნველყოფენ საპროცესო წარმოების ყველა ეტაპზე ყველა ინდივიდუალური უფლებისა და თავისუფლების დაცვის გარანტიას და საჯარო წესრიგის დაცვას. აღნიშნული მოიცავს დაცვის ქვეშ მყოფ პირთა და დაზარალებულთა უფლებების სრულ პატივისცემას. პროკურორის გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის არ დაწყების შესახებ უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო გადასინჯვას. დასაშვებია დაზარალებულს ქონდეს უფლება პირდაპირ აღძრას საქმე სასამართლოში.
2. მართლმსაჯულების სამართლიანი ადმინისტრირება მოითხოვს ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანაბარ აღჭურვას უფლებებით, ასევე სასამართლოს დამოუკიდებლობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალის პატივისცემას.
3. მოსამართლეთა და საჯარო პროკურორთა განსხვავებული მაგრამ ურთიერთშემავსებელი როლების სათანადო განხორციელება წარმოადგენს მართლმსაჯულების სამართლიანი, მიუკერძოებელი და ეფექტური ადმინისტრირების გარანტიას. მოსამართლეები და საჯარო პროკურორები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები თავიანთ ფუნქციებთან მიმართებაში და ასევე უნდა აღიქმებოდნენ და იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლები.
4. სათანადო ორგანიზაციული, ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსი უნდა იყოს უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების განკარგულებაში.
5. მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა როლი მდგომარეობს ბრალდების მხარის მიერ შემოტანილ საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში, რომელიც თავისუფალი იქნება ბრალდების და დაცვის მხარის, ან ნებისმიერი სხვა წყაროდან განხორციელებული ნებისმიერი არასათანადო გავლენისგან.

¹მოცემულ დეკლარაციას თან ერთვის განმარტებითი ბარათი. მოცემული დეკლარაცია ერთობლივად მომზადდა CCJE-ს და CCPE-ს სამუშაო ჯგუფების მიერ ბორდოში (საფრანგეთი) და ოფიციალურად მიღებულ იქნა CCJE-სა და CCPE-ს მიერ ბორდოში (სლოვენია) 2009 წლის 18 ნოემბერს.

6. კანონის აღსრულება, ასევე ბრალდების მხარის მიერ სისხლის სამართლის წინა-საპროცესო ეტაპზე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვს, რომ საჯარო პროკურორთა სტატუსი გარანტირებული იყოს კანონით, შეძლებისდაგვარად უმაღლეს დონეზე, მსგავსად მოსამართლეებისა. ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებლები და ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და უნდა ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს სამართლიანად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.
7. CCJE და CCPE მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანმიმდევრულ პრეცედენტულ სამართალზე ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფთან და მე-6 მუხლთან მიმართებაში. კერძოდ, მათ მოყავთ ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლო აღიარებს დამოუკიდებლობის საჭიროებას აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ან ნებისმიერი სხვა მხარისგან, რომელიც წარმოადგენს კანონით უფლებამოსილ მხარეს განხორციელოს სასამართლო უფლებამოსილება, თუმცა მეორეს მხრივ არ გამორციხავს დაქვემდებარებას უფრო მაღალი დამოუკიდებელი სასამართლო უფლებამოსილების მიმართ. ნებისმიერი სახით სასამართლო ფუნქციის დაკისრება პროკურორებისთვის უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ისეთი საქმეებით, რომლებიც მოიაზრებენ მცირე სანქციებს, რომლებშიც ისინი ამავე დროს არ უნდა ახორციელებდნენ ბრალდების უფლებამოსილებებს და რომლებშიც არ უნდა ირღვეოდეს ბრალდებულის უფლება მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლო ფუნქციების განმახორციელებელმა უწყებამ.
8. საჯარო პროკურორთა დამოუკიდებელი სტატუსისთვის აუცილებელია მინიმალური მოთხოვნების დაცვა, კერძოდ:
 - მათი პოზიცია და საქმიანობა თავისუფალი უნდა იყოს გავლენისგან ან ჩარევისგან, რომელიც გამომდინარეობს თავად პროკურატურის სამსახურს გარეშე არსებული წყაროდან;
 - მათი შერჩევა და კარიერული განვითარება, საქმიანობის ვადის გარანტია, მათ შორის გადაყვანა, უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონთან შესაბამისობაში ან მათი თანხმობით, ასევე მათი ანაზღაურების უზრუნველყოფა უნდა იყოს გარანტირებული კანონით.
9. სახელმწიფოში, რომელშიც აღიარებულია კანონის უზენაესობა, თუ ბრალდების სამსახურის სტრუქტურა იერარქიულია, პროკურატურის ეფექტურობა მჭიდრო კავშირშია უფლებამოსილების იერარქიის გამჭვირვალობასთან, ანგარიშვალდებულებასთან და პასუხისმგებლობასთან. ინდივიდუალური პროკურორების მიმართ დირექტივები უნდა იყოს წერილობითი, კანონთან და სადაც საჭიროა, საჯაროდ ხელმისაწვდომ სახელმძღვანელო პრინციპებთან და კრიტერიუმებთან შესაბამისობაში. კანონის შესაბამისად პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის დაწყების ან არ დაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა

უნდა მოხდეს მიუკერძოებლად და ობიექტურად. ნებისმიერ შემთხვევაში, სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული დაზარალებულის ინტერესები.

10. საერთო სამართლებრივი პრინციპებისა და ეთიკური ღირებულებების გაზიარება მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ყველა პროფესიონალის მიერ, არსებითია მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირებისთვის. ტრენინგი, მათ შორის მენეჯმენტის ტრენინგი, წარმოადგენს მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების როგორც უფლებას, ასევე მათ ვალდებულებას. ასეთი ტრენინგი რეგულარულად და მიუკერძოებლად უნდა იყოს ორგანიზებული, და მისი ეფექტურობა უნდა შეფასდეს ობიექტურად. შესაბამის შემთხვევებში, ერთობლივი ტრენინგები მოსამართლეებისთვის, საჯარო პროკურორებისა და ადვოკატებისთვის მათთვის საერთო თემებზე ხელს უწყობს უფრო მაღალი ხარისხის მართლმსაჯულების მიღწევას.
11. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე აუცილებელია მედიას მიეწოდოს საჭირო ინფორმაცია სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით. კომპეტენტური უწყებები უზრუნველყოფენ ასეთი ინფორმაციის გაცემას უდანაშაულობის პრეზუმფციის, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების და პროცესის მონაწილე ყველა პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების გათვალისწინებით. მოსამართლეებმა, ისევე როგორც პროკურორებმა, უნდა შეიმუშაონ საუკეთესო პრაქტიკის კოდექსი, ან სახელმძღვანელო თითოეული პროფესიის წარმომადგენლისთვის მედიასთან ურთიერთობებთან დაკავშირებით.
12. როგორც საჯარო პროკურორები, ისე მოსამართლეებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასამართლო საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში. სხვადასხვა ქვეყნებში ხელისუფლების შესაბამის უფლებამოსილ უწყებებს შორის ურთიერთნდობის გაძლიერება აუცილებელია. ამ კონტექსტში, იმპერატიულია პროკურორთა მიერ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მოპოვებული და სასამართლო პროცესზე გამოყენებული ინფორმაცია იყოს გამჭვირვალე შინაარსის და წარმოშობის, ასევე იყოს ხელმისაწვდომი მოსამართლეთათვის და ყველა მხარისთვის, რათა ეფექტურად იქნეს დაცული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.
13. იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებშიც საჯარო პროკურორებს გააჩნიათ ფუნქციები, რომლებიც სცდება სისხლის სამართლის სფეროს, აღნიშნული პრინციპები ვრცელდება ასეთ ფუნქციებზეც.

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი:

a. დასკვნის მიზანი

1. დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებითი მოვალეობაა კანონის უზენაესობაზე დაყრდნობით უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ასევე კანონის წინაშე თანასწორობის პატივისცემის გარანტია, როგორც ეს ასახულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში (ECHR) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომ “სასამართლო”) პრეცედენტულ სამართალში. ამავე დროს, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა სისხლის სამართლებრივი ქმედების მიმართ ეფექტური ზომების უზრუნველყოფით. დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების უსაფრთხოება ასევე გარანტირებული უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელის ეფექტური აღსრულების გზით (დეკლარაცია, პარაგრაფი 1).

2. ამდენად, სახელმწიფოს მისიაა ჩამოაყალიბოს და უზრუნველყოს სამართლის ისეთი ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მისიის განხორციელებაში მრავალი მხარე მონაწილეობს როგორც საჯარო, ისე კერძო (როგორც ადვოკატების შემთხვევაში) სექტორიდან, სასამართლო სისტემის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ფუნქციონირებაში გადამწყვეტი როლი მოსამართლეებსა და საჯარო პროკურორებს აკისრიათ.

3. თავიანთ წინა დასკვნებში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) და ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭომ (CCPE) სასამართლო სისტემის ეფექტურობასთან დაკავშირებულ მრავალ მნიშვნელოვანი ასპექტი განიხილეს, განსაკუთრებული ყურადღების განახვილებით ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეებისა და პროკურორების საერთო მიზანს, მათ შორის საჯარო პროკურორებისა, რომელთა ვალდებულებებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროთი, წარმოადგენს სამართლიანი, მიუკერძოებელი და ეფექტური სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა. ამ დასკვნის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ის შეადგინეს მოსამართლეებმა და პროკურორებმა, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ კოლეგებს საკუთარი ქვეყნებიდან, და ის ეხება იმ საკითხებს, რომლებზეც მოსამართლეები და პროკურორები შეთანხმდნენ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

4. ამდენად, ტექსტი ამახვილებს ყურადღებას ორი მისიის არსებით ასპექტებზე, კერძოდ კი: დამოუკიდებლობაზე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემაზე, ობიექტურობაზე და მიუკერძოებლობაზე, ეთიკაზე და დეონტოლოგიაზე, ტრენინგზე და ურთიერთობებზე მედიასთან.

5. მოცემული დასკვნა გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსამართლეებისა და პროკურორების ურთიერთობების კონტექსტში სასამართლო პროცესის სხვადასხვა

ეტაპზე წარმოდგენილ ისეთ პროფესიონალ მუშაკებთან, როგორებიც არიან ადვოკატები, სასამართლო ექსპერტები, სასამართლო მდივნები, სასამართლო აღმასრულებელი, პოლიცია, როგორც ეს აღნიშნულია ევროპელი მოსამართლეებისთვის გლობალურ ჩარჩო სამოქმედო გეგმაში, რომელიც მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2001 წლის 7 თებერვალს და რეკომენდაციაში (2000)19სისხლის სამართლის სისტემაში ბრალდების როლის თაობაზე, რომელიც მიიღო მინისტრთა კომიტეტმა 2000 წლის 6 ოქტომბერს.

b. ეროვნულ სისტემათა სხვადასხვაობა

6. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში გვერდი-გვერდ თანაარსებობს სხვადასხვა სისტემა:

- i. საერთო სამართლის სისტემა, რომელშიც არსებობს ცალსახა გაყოფა მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის, და სადაც *სისხლის სამართლებრივი საგამოძიებო უფლებამოსილება* არ არის კომბინირებული სხვა ფუნქციებთან;
- ii. კონტინენტური სამართლის სისტემა, რომელშიც შეინიშნება ისეთი სახეობები, რომლებშიც ან მოსამართლეები და პროკურორები წარმოადგენენ «სასამართლო კორპუსს» ან, საპირისპიროდ, მხოლოდ მოსამართლეები შეიძლება იყვნენ ამ კორპუსის ნაწილი.

დამატებით, ამ სხვადასხვა სისტემაში, სახელმწიფო ბრალდების ავტონომია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან შეიძლება იყოს სრული ან შეზღუდული.

7. წინამდებარე დასკვნის მიზანია, საერთო ნიშნებისა და განსხვავებების გათვალისწინებით, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ქრილში ჩამოაყალიბოს შესაბამისი მოქმედი პრინციპებისა და მიდგომების ბაზა.

8. ფუნქციათა დანაწილების გარანტია წარმოადგენს პროცესს მონაწილე მხარეთა მიმართ მოსამართლეთა მიუკერძოებლობის არსებით წინაპირობას. მიუკერძოებლობა, როგორც აღნიშნულია CCJE-ს No. 1 დასკვნაში სასამართლოს დამოუკიდებლობის სტანდარტებთან და მოსამართლეთა შეუცვლელობასთან დაკავშირებით (2001), უპირველესია იმ ინსტიტუციურ გარანტიებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მოსამართლის პოზიციას. ასევე, ის მოიაზრებს, რომ მტკიცების ტვირთი და საბრალდებო აქტის ჩაბარების ვალდებულება სახელმწიფო ბრალდებას აკისრია, რაც საბოლოო გადაწყვეტილებამდე მისვლის ერთერთ უპირველეს პროცესუალურ გარანტიას წარმოადგენს.

9. ამდენად, თითოეულ სისტემაში მოსამართლის როლი განსხვავდება სახელმწიფო ბრალდების როლისგან. მათი მისიები ამავდროულად ურთიერთშემავსებელია. მოსამართლესა და პროკურორს შორის არ არსებობს იერარქიული კავშირები.

10. სახელმწიფო ბრალდების სამსახურის დამოუკიდებლობა წარმოადგენს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის აუცილებელ თანმდევ მოვლენას. პროკურორის როლის განხორციელება როგორც ექვიპიტანლის, ისე

დაზარალებულის ადამიანის უფლებების დაცვით, ყველაზე კარგად შესაძლებელია მაშინ, როდესაც პროკურორი დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან და როდესაც დაცულია მოსამართლეებისა და პროკურორების როლებს შორის განსხვავება. ისეთ დემოკრატიაში, რომელიც კანონის უზენაესობას ეფუძნება, სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკის საფუძველი სწორედ კანონია (დეკლარაცია, პარაგრაფი 3).

c. ფუნქციათა თავისებურებები

11. პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები სამართლიანად, მიუკერძოებლად, ობიექტურად და თანმიმდევრულად, პატივი უნდა სცენ და მიისწრაფოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვისკენ და სამართლის სისტემის დროული და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისკენ.

12. თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას, პროკურორები ეყრდნობიან დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნის სისტემას (მიზანშეწონილობის პრინციპი), ან სავალდებულო სისხლის სამართლებრივი დევნის სისტემას (კანონიერების პრინციპი), თუმცა ორივე შემთხვევაში პროკურორები მოქმედებენ არა მხოლოდ მთლიანობაში საზოგადოების სახელით, არამედ ასევე ასრულებენ ვალდებულებებს კონკრეტული პირების მიმართ, კერძოდ კი ბრალდებულთან მიმართებაში, რომლის მიმართაც გააჩნია სამართლიანობის მოვალეობა და ასევე დანაშაულის შედეგად დაზარალებულის მიმართ, რომლის წინაშეც გააჩნია მისი უფლებების სრული დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება. ამ თვალსაზრისით და სასამართლო პროცესზე თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის გათვალისწინებით, პროკურორი შეიძლება ჩაითვალოს გათანაბრებულად სხვა მხარეებთან (დეკლარაცია, პარაგრაფი 2). პროკურორები სათანადოდ უნდა ითვალისწინებდნენ დაზარალებულის მოსაზრებებსა და პოზიციას და ხელს უწყობდნენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზარალებულების ინფორმირებულობას როგორც საკუთარი უფლებების, ისე საპროცესო წარმოების მსვლელობის შესახებ. მათ არ უნდა დაიწყონ ან გააგრძელონ სისხლის სამართლებრივი დევნა როდესაც მიუკერძოებელი გამოძიება ხელმისაწვდომი მტკიცებულებების საფუძველზე ცხადყოფს, რომ ბრალდება უსაფუძვლოა.

d. არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტები

13. ევროპის საბჭოს მრავალი ტექსტი, ასევე სასამართლოს პრეცედენტული სამართალი პირდაპირ და ცალსახად განიხილავს იმ თემებს, რომლებიც უკავშირდება მოსამართლეებისა და პროკურორების ურთიერთობებს.

14. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აკისრებს მოსამართლეებს მოვალეობას მხოლოდ როგორც უფლებებისა და თავისუფლებების მცველებს –იხ. კერძოდ მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უხლება) და მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)–თუმცა ის ასევე აკისრებს იგივეს საჯარო პროკურორებს (მე-5 მუხლის 1ა, მე-3 და მე-6 პარაგრაფების შესაბამისად).

15. სასამართლოს, რომლის ერთერთი დავალება ECHR-ის ინტერპრეტაციაა, მიღებული აქვს რამდენიმე გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებსაც გავლენა აქვთ მოსამართლეებსა და საჯარო პროკურორებს შორის ურთიერთობაზე.

16. კერძოდ, ის შეეხო იმ პირის პრობლემას, რომელიც ერთი და იგივე საქმის წარმოებაში მონაწილეობდა როგორც პროკურორი და შემდგომ მოსამართლე (1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ*, §§ 30-32), აუცილებლობას ისეთი გარანტიისა, რომ არასოდეს მოხდეს სასამართლოზე ან სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოებზე პოლიტიკური წნეხის განხორციელება (2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *გუჯა მოლდოვეთის წინააღმდეგ*, §§ 85-91), მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების დაცვის გარანტიას გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში (2008 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *საიგილი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §§ 34-40), სასამართლოებისა და სახელმწიფო ბრალდების დეპარტამენტების პროცესუალურ ვალდებულებებს გამოიძიონ, განახორციელონ სისხლის სამართლებრივი დევნა და დასაჯონ ადამიანის უფლებების დარღვევები (2007 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *რამსაკაი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §§ 321-357) და ბოლოს, ბრალმდებელი ხელისუფლების წვლილს პრეცედენტული სამართლის სტანდარტიზაციის პროცესში (2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *მარტინს დე კასტრო და ალვეს კორეია დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §§ 51-66).

17. სისხლის სამართლის პროცესის სფეროში სასამართლომ განიხილა სახელმწიფო ბრალდების სამსახურის სტატუსი და უფლებამოსილებები და ECHR-ის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის მოთხოვნები (რომლებიც ეხება “კანონით უფლებამოსილ მოხელეებს განახორციელონ სასამართლო უფლებამოსილება”) მრავალი ფაქტობრივი გარემოების კონტექსტში (იხ. სხვათა შორის, 1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებები საქმეებზე *შიესერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §§ 27-38, *დე იონგი, ბალჟეტი და ვან დენ ბრინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §§ 49-50, *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, §§ 146-150, *ნიედბალა პოლონეთის წინააღმდეგ*, §§ 45-47, *პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ*, §§ 232-243, და 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *მედვედევი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§ 61, 67-69). სასამართლომ ასევე განიხილა ბრალმდებელი ხელისუფლების სტატუსი, განსჯადობა და საზედამხედველო უფლებამოსილებები სატელეფონო მონიტორინგის შემთხვევებში (2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *დუმიტრუ პოპესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*, §§ 68-86) და ბრალმდებელი ხელისუფლების მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს განხილვებზე (1991 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ბორჯერსი ბელგიის წინააღმდეგ*, §§ 24-29, და 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *ფონტენი და ბერლინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§ 57-67).

18. და ბოლოს, სისხლის სამართლის სფეროს ფარგლებს გარეთ, სასამართლოს გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართალი „აღქმის დოქტრინასთან“ (doctrine of appearances) დაკავშირებით, რომლის შესაბამისად პროკურორების დასწრება სასამართლოს მსჯელობის პროცესზე ეწინააღმდეგება ECHR-ის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს (1996 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება

საქმეზე *ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §§ 28-32, და 2006 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§ 50-55).

19. ევროპის საბჭოს მომზადებული აქვს სხვა ტექსტები:

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(94)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და მათი როლის თაობაზე აღიარებს კავშირს მოსამართლეებსა და საჯარო პროკურორებს შორის სულ მცირე იმ ქვეყნებში, რომლებშიც პროკურორებს გააჩნიათ სასამართლო უფლებამოსილებები იმ გაგებით, რომელიც მიენიჭა ამ გამოთქმას სასამართლოს მიერ;

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)19, რომელიც ეხება სახელმწიფო ბრალდების როლს სისხლის სამართლის სიტუაციაში ცალსახად უსვამს ხაზს ურთიერთობებს მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის, თუმცა ასევე აღნიშნავს იმ ზოგად პრინციპებს, რომლებიც გადამწყვეტია იმისთვის, რომ აღნიშნულმა ურთიერთობებმა უდაოდ შეიტანონ წვლილი მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების მოვალეობების სათანადოდ განხორციელებაში. ის განსაკუთრებულად უსვამს ხაზს სახელმწიფოთა ვალდებულებას “მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ საჯარო პროკურორების სამართლებრივისტატუსი, უფლებამოსილებები და პროცესუალური როლი ჩამოყალიბდეს კანონის საფუძველზე ისე, რომ არ არსებობდეს არავითარი ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მოსამართლეების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ”.

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში Rec (87)18, რომელიც ეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივებას, მოყვანილია მანამდე მხოლოდ მოსამართლეებისთვის განკუთვნილი მოვალეობების სხვადასხვა მაგალითები, რომლებიც ამჟამად უნაწილდება სახელმწიფო ბრალდების სამსახურს (რომლის უპირველესი მისია ამჟამადაც სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა და წარმართვაა). აღნიშნული ახალი ვალდებულებები ქმნიან დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ბრალდების სამსახურის ორგანიზებას და ამ ფუნქციების შესასრულებლად დასაქირავებელი პირების შერჩევას.

II. მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების სტატუსი

a. მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების შიდა და გარე დამოუკიდებლობის გარანტიები; კანონის უზენაესობა, როგორც მათი დამოუკიდებლობის პირობა

20. მოსამართლეები და საჯარო პროკურორები უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლები და ასევე ეფექტურად დამოუკიდებლები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას. ისინი სამართლის სისტემაში და ზოგადად საზოგადოებაში სხვადასხვა მოვალეობას ასრულებენ. შესაბამისად, არსებობს ინსტიტუციური და ფუნქციონალური დამოუკიდებლობის სხვადასხვა პერსპექტივა (დეკლარაცია, პარაგრაფი 3).

21. მართლმსაჯულება ეფუძნება დამოუკიდებლობის პრინციპს, თავისუფალს ნებისმიერი წარმომავლობის გარეშე ძალისგან და ჩარევისგან, ასევე რაიმე სახის შიდა იერარქიისგან. მისი და შესაბამისად ნაფიცი მსაჯულების როლია მათთან პროკურატურის სამსახურისგან და მხარეებისგან შემოსული საქმეების სათანადო განხილვა. აღნიშნული მოიცავს თავისუფლებას ნებისმიერი არასათანადო გავლენისგან საჯარო პროკურორის ან დაცვის მხრიდან. მოსამართლეები, პროკურორები და დაცვის ადვოკატები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთის როლებს (დეკლარაცია, პარაგრაფი 5).

22. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ფუნდამენტური პრინციპი ასახულია ECHR-ის მე-6 მუხლში და ხაზგასმულია CCJE-ს წინარე დასკვნებში.

23. მოსამართლეობის ფუნქცია გულისხმობს პასუხისმგებლობას სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღებაზე იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელთაც აღნიშნული ეხებათ და პროცესის დასრულებას კანონის საფუძველზე. ორივე წარმოადგენს მოსამართლის პრეროგატივას - სასამართლო უფლებამოსილებას, რომელიც დამოუკიდებელია ხელისუფლების სხვა შტოებისგან². აღნიშნული როგორც წესი არ წარმოადგენს პროკურორების მისიას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სისხლის სამართლის პროცესის დაწყებაზე ან გაგრძელებაზე.

24. CCJE და CCPE მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანმიმდევრულ პრეცედენტულ სამართალზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფთან და მე-6 მუხლთან მიმართებაში. კერძოდ, ისინი მიუთითებენ გადაწყვეტილებას საქმეზე *შეისერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლო აღიარებს აღმასრულებელი ხელისუფლების და ნებისმიერი სხვა მხარეების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ “კანონის მიერ სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ უფლებამოსილ მოხელეს” დამოუკიდებლობის საჭიროებას, რაც მეორეს მხრივ არ გამორიცხავს დაქვემდებარებას უფრო მაღალი დამოუკიდებელი სასამართლო უფლებამოსილების მიმართ (დეკლარაცია, პარაგრაფი 7).

25. ზოგაერთი წევრი სახელმწიფო ანიჭებს საჯარო პროკურორებს უფლებამოსილებას სისხლის სამართლებრივი დევნის ნაცვლად მიიღონ სავალდებულო გადაწყვეტილებები ზოგიერთ სხვა სფეროში ან კონკრეტული ინტერესების დასაცავად. CCJE-ს და CCPE-ს მიაჩნიათ, რომ სასამართლო ფუნქციის ნებისმიერი სახით მინიჭება პროკურორებისთვის უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ისეთი საქმეებით, რომლებიც მოიაზრებენ მცირე სასჯელს, რომლებშიც ისინი ამავე დროს არ უნდა ახორციელებდნენ ბრალდების უფლებამოსილებებს და რომლებშიც არ უნდა ირღვეოდეს ბრალდებულის უფლება მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლო ფუნქციების განმახორციელებელმა უწყებამ. ასეთმა უფლებამოსილებამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა მისცეს საჯარო პროკურორებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება,

² იხ. კერძოდ CCJE-ს დასკვნა No.1 (2001) სასამართლოს დამოუკიდებლობის სტანდარტების და მოსამართლეთა შეუცვლელობა შესახებ და რეკომენდაცია Rec(94)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის თაობაზე.

რაც შეზღუდავდა ადამიანის პირად თავისუფლებებს, თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით, მოსამართლესთან ან სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე (დეკლარაცია, პარაგრაფი 7).

26. სახელმწიფო ბრალდების სამსახური წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელისუფლებას, რომლის არსებობა უნდა ეფუძნებოდეს კანონს შემდგომისდაგვარად ყველაზე მაღალ დონეზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში არც პარლამენტი და არც რომელიმე სამთავრობო ორგანო არ უნდა მისწრაფოდეს არასათანადო ზეგავლენის განხორციელებისკენ რომელიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიიღო საჯარო პროკურორმა ინდივიდუალურ საქმესთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ განსაზღვროს თუ როგორ უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტულ საქმეზე, ანრათა აიძულოს საჯარო პროკურორები შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილებები (დეკლარაცია, პარაგრაფი 8 და 9).

27. საჯარო პროკურორებისთვის დამოუკიდებლობა აუცილებელია საკუთარი მიზნის განსახორციელებლად. ეს ამლიერებს მათ როლს სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და საზოგადოების აღქმაში, და ასევე უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას სამართლიანად და ეფექტურად, და ასევე ხელს უწყობს სასამართლო დამოუკიდებლობის სრულად რეალიზებას (დეკლარაცია, პარაგრაფი 3 და 8). ამდენად, მოსამართლეებისთვის გარანტირებული დამოუკიდებლობის პარალელურად, საჯარო პროკურორების დამოუკიდებლობა არ არის პრეროგატივა ან პრივილეგია, რომელიც მათ საკუთარი ინტერესების დასაცავად მიენიჭათ, არამედ ისეთი სამართლიანი და ეფექტური სამართლის გარანტია, რომელიც დაიცავს როგორც საჯარო ისე შესაბამისი პირების კერძო ინტერესებს.

28. პროკურორის ფუნქცია, რომელიც შეიძლება დახასიათდეს სავალდებულო ან დისკრეციული სამართლებრივი დევნით, განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში არსებული სისტემის შესაბამისად, ინსტიტუციურ ჩარჩოში და სისხლის სამართლის პროცესში საჯარო პროკურორის პოზიციიდან გამომდინარე.

29. თავიანთი სტატუსის მიუხედავად, საჯარო პროკურორებს უნდა ჰქონდეთ სრული ფუნქციური დამოუკიდებლობა საკუთარი სასჯელადსრულებითი თუ სხვა სამართლებრივიროლის განხორციელებისას. თავიანთი შესაძლო უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად და პროცესის თვითნებურად და არათანმიმდევრული წესით ჩატარების თავიდან აცილების მიზნით, საჯარო პროკურორებს უნდა ჰქონდეთ ცალსახა და გამჭვირვალე სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციების განსახორციელებლად (დეკლარაცია, პარაგრაფი 9).

30. ამ თვალსაზრისით, CCJE და CCPE-ს მოყავს რეკომენდაცია (2000)19, რომელიც აღიარებს, რომ სამართლიანობისა და სახელმწიფო ბრალდების სამსახურის საქმიანობაში თანმიმდევრობისა და ეფექტურობის ხელშესაწყობად, სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც პროკურორები მიიღებენ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე.

31. ინსტრუქციები პროკურორებისთვის უნდა იყოს წერილობითი, კანონთან შესაბამისი და საჭიროებისამებრ, შესაბამისობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ სისხლის სამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებთან და კრიტერიუმებთან (დეკლარაცია, პარაგრაფი 9)³.

32. ნებისმიერი გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების შესახებ უნდა იყოს სამართლებრივად გამართული. პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე ნებისმიერი გადასინჯვა უნდა განხორციელდეს მიუკერძოებლად და ობიექტურად, იმისდა მიუხედავად, ბრალდების სამსახურის ფარგლებში ხდება აღნიშნული თუ დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ. დაზარალებულის, ასევე ნებისმიერი სხვა პირის სამართლებრივი ინტერესები ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სათანადოდ. (დეკლარაცია, პარაგრაფი 9).

33. მოსამართლეებისა და პროკურორების ფუნქციების ურთიერთმემავსებელი ხასიათი გულისხმობს, რომ ორივე აცნობიერებს რომ მიუკერძოებელი მართლმსაჯულება მოითხოვს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც სახელმწიფო ბრალდების, ასევე დაცვის მხარისთვის, და რომ საჯარო პროკურორებმა ყოველთვის უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, ობიექტურად და მიუკერძოებლად. მოსამართლეებმა და საჯარო პროკურორებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენს ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც დაცვის მხარის უფლებებს (დეკლარაცია, პარაგრაფის 2 და 6).

34. მოსამართლისა და პროკურორის დამოუკიდებლობა განუყოფელია კანონის უზენაესობისგან. მოსამართლეები, ისევე როგორც პროკურორები მოქმედებენ საერთო ინტერესებით, საზოგადოებისა და მოქალაქეების სახელით, რომელთა სურვილია მათი უფლებები და თავისუფლებები ყველა თვალსაზრისით იყოს გარანტირებული. ისინი ერევიან იმ სფეროებში, რომლებშიც ყველაზე სენსიტიური ადამიანის უფლებები (პირადი თავისუფლება, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, საკუთრების დაცვა, ა.შ.) იმსახურებენ ყველაზე ძლიერ დაცვას. პროკურორებმა უნდა უზრუნველყონ მტკიცებულებების მოგროვება დასაქმის წარმოების დაწყება და წარმართვა კანონთან შესაბამისობაში. ასეთ დროს, ისინი მხარს უნდა უჭერდნენ იმ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ECHR-სა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებში, განსაკუთრებით უდანაშაულობის პრეზუმფციას, დაცვის მხარის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ ამ პრინციპების პატივისცემა მათ წინაშე მიმდინარე პროცესის მსვლელობისას.

35. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო პროკურორს აქვს უფლება მიმართოს მოსამართლეს სარჩელებითა და შუამდგომლობებით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით და მოსამართლეს წარუდგინოს ფაქტებსა და სამართლის საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები აღნიშნულის გასამაგრებლად, პროკურორი არ

³ იხ. ასევე CCPE-ს დასკვნა N°3 (2008) საჯარო პროკურორის როლის თაობაზე სისხლის სამართლის სფეროს მიღმა.

შეიძლება რაიმე ფორმით ჩაერიოს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ვალდებულია შეასრულოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. პროკურორი არ შეიძლება შეეწინააღმდეგოს ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულებას, გარდა რეგრესული უფლებების გამოყენებისა, რომლებიც განსაზღვრულია კანონით (დეკლარაცია, პარაგრაფი 4 და 5).

36. საჯარო პროკურორისა და მოსამართლის საქმიანობა და ქცევა არ უნდა ტოვებდეს ეჭვს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით. მოსამართლეები და საჯარო პროკურორები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას და რეალურად უნდა იყონ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები. პროცესის მხარეთა და მთლიანობაში, საზოგადოების თვალში, არ უნდა არსებობდეს არავითარი მინიშნებაც კი იმაზე, რომ მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის არსებობს რაიმე გარიგება, ან ფუნქციების აღრევა.

37. ზემოაღნიშნული პრინციპის პატივისცემა გულისხმობს, რომ პროკურორების სტატუსი გარანტირებული უნდა იყოს კანონით შესაძლო ყველაზე მაღალ დონეზე მოსამართლეების ანალოგიურად. მოსამართლეებისა და პროკურორების მისიების სიახლოვე და ურთიერთშევესების ხასიათი ქმნის მათ სტატუსთან, მსახურების პირობებთან, მათ შორის მათი შერჩევასთან, ტრენინგთან, კარიერულ განვითარებასთან, დისციპლინასთან, გადაყვანასთან (რაც მხოლოდ კანონის დაცვით ან მათი თანხმობით უნდა მოხდეს), ანაზღაურებასთან, ფუნქციების შეწყვეტასთან და პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბების თავისუფლებასთან დაკავშირებით მსგავს მოთხოვნებსა და გარანტიებს (დეკლარაცია, პარაგრაფი 8).

38. როგორც მოსამართლეები, ისე პროკურორები, არსებული ეროვნული სისტემის შესაბამისად, პირდაპირ უნდა იყონ ასოცირებული საკუთარი სამსახურის ადმინისტრაციასთან და მართვასთან. ამ მიზნით, საკმარისი ფინანსური რესურსი, ასევე სათანადო ინფრასტრუქტურა და ადამიანური და მატერიალური რესურსი უნდა იყოს მოსამართლეებისა და პროკურორების განკარგულებაში და გამოყენებული მათი შეხედულებისამებრ (დეკლარაცია, პარაგრაფი 4).

b. მოსამართლეების და საჯარო პროკურორების ეთიკა და დეონტოლოგია

39. მოსამართლეები და პროკურორები უნდა იყვნენ პატიოსანი პირები შესაბამისი პროფესიული და ორგანიზაციული უნარჩვევებით. მათი ფუნქციების ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მათ გაცნობიერებულად მიიღეს, მოსამართლეები და პროკურორები მუდმივად არიან საჯარო კრიტიკის რისკის ქვეშ და შესაბამისად თავი უნდა შეიკავონ, კანონის ფარგლებში, თავიანთი უფლების განხორციელებისგან თავიანთი საქმეების შესახებ კომუნიკაციის თაობაზე. როგორც სამართლის ადმინისტრირების მთავარმა მოქმედმა პირებმა, მათ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი პროფესიის პატივისცემა და ღირსება და ყველა სიტუაციაში იმოქმედონ ისე, როგორც ეს შეეფერება დაკავებულ თანამდებობებს⁴ (დეკლარაცია, პარაგრაფი 11).

⁴ მოსამართლეებისთვის იხ. მაგალითად CCJE-ს დასკვნა No. 3 (2002) მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების შესახებ, კერძოდ ეთიკის, შეუთავსებელი ქცევის და მიუკერძოებლობის შესახებ (2002) და სასამართლო ქცევის ბანგალორეს პრინციპები (მიღებული UN ECOSOC-ის მიერ 2006 წელს) და მოსამართლეთა უნივერსალური ქარტია, მიღებული მოსამართლეთა

40. მოსამართლეები და პროკურორები უნდა მოერიდონ ისეთ ქმედებას და ქცევას, რომლის შედეგადაც შეიძლება შეირყეს მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი ნდობა. მათ უნდა განიხილონ მიღებული საქმეები გულმოდგინედ და მიზანშეწონილ ვადებში, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

41. საჯარო პროკურორებმა თავი უნდა შეიკავონ მედიის გამოყენებით საჯარო კომენტარებისა და განცხადებებისგან, რამაც შეიძლება დატოვოს სასამართლოზე პირდაპირი ან არაპირდაპირი წნეხის განხორციელების ან პროცესის სამართლიანობის დაკნინების შთაბეჭდილება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით.

42. მოსამართლეები და პროკურორები უნდა ცდილობდნენ გაეცნონ იმ ეთიკის სტანდარტებს, რომლებიც არეგულირებენ მეორე მხარის ფუნქციებს. აღნიშნული გააუმჯობესებს მეორე მხარის მისიის აღქმასა და პატივისცემას, რითაც გაიზრდება ჰარმონიული თანამშრომლობის პერსპექტივა.

c. მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების ტრენინგი

43. მაღალი დონის პროფესიული უნარჩვევები აუცილებელია იმ ნდობისთვის, რომელიც საზოგადოებას გააჩნია როგორც მოსამართლეების, ისე პროკურორების მიმართ დარასაც ძირითადად ეფუძნება მათი ლეგიტიმაცია და როლი. სათანადო პროფესიული ტრენინგი კრიტიკული მნიშვნელობისაა, ვინაიდან მათი მუშაობის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა და ამდენად, მთლიანობაში აძლიერებს მართლმსაჯულების ხარისხს (დეკლარაცია, პარაგრაფი 10).

44. ტრენინგი მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მოიაზრებს არა მარტო ამ პროფესიით დაკავებისთვის აუცილებელი უნარჩვევების შეძენას, არამედ ასევე მუდმივ ტრენინგებს მათი მთელი კარიერის განმავლობაში. ის ფარავს მათი პროფესიული ცხოვრების ყველაზე დივერსიფიცირებულ ასპექტებს, მათ შორის სასამართლოს და პროკურატურის დეპარტამენტების ადმინისტრაციული მართვის მიმართულებებს დაასევე უნდა პასუხობდეს სპეციალიზაციის საჭიროებებს. მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების ინტერესებშია, რომ მუდმივი ტრენინგი, რომელიც საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად და სრულსაყოფად, იყოს არა მხოლოდ უფლება არამედ ასევე მოვალეობა მოსამართლეებისთვის და საჯარო პროკურორებისთვის (დეკლარაცია, პარაგრაფი 10).

45. ერთობლივი ტრენინგი მოსამართლეებისათვის, საჯარო პროკურორებისთვის და ადვოკატებისთვის საერთო ინტერესის თემების თაობაზე ხელს უწყობს სამართლის

საერთაშორისო ასოციაციების ცენტრალური საბჭოს მიერ 1999 წლის 17 ნოემბერს ტაიპეიში (ტაივანი). პროკურორების როლის თაობაზე გაეროს სახელმძღვანელოს (1990) გარდა პროკურორებისთვის იხ. საჯარო პროკურორებისთვის ეთიკისა და ქცევის ერვოპული სახელმძღვანელო (ბუდაპეშტის სახელმძღვანელო), მიღებული ევროპის გენერალური პროკურორების მიერ 2005 წლის 31 მაისს თავიანთ კონფერენციაზე ბუდაპეშტში.

უმადლესი ხარისხის უზრუნველყოფას. ასეთი საერთო ტრენინგი საფუძველს უქმნის საერთო სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას (დეკლარაცია, პარაგრაფი 10).

46. სხვადასხვა ევროპული სამართლებრივი სისტემები უზრუნველყოფენ ტრენინგებს მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის სხვადასხვა მოდელის შესაბამისად. ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია აკადემია, ეროვნული სკოლა ან სხვა სპეციალიზირებული ინსტიტუტი; სხვა ქვეყნებში ასეთი კომპეტენცია მინიჭებული აქვს სპეციალურ ორგანოს. უნდა მოხდეს საერთაშორისო ტრენინგის კურსების ორგანიზება მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის. არსებითია, ყველა შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს ტრენინგების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ინსტიტუტის ავტონომიური ხასიათი, ვინაიდან აღნიშნული ავტონომია წარმოადგენს კულტურული პლურალიზმისა და დამოუკიდებლობის გარანტიას.⁵

47. ამ კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა აქვს ტრენინგის კურსებთან დაკავშირებით მოსამართლეებისა და პროკურორების პირდაპირ წვლილს, ვინაიდან ეს საშუალებას მისცემთ მათ გამოხატონ საკუთარი პროფესიული გამოცდილებიდან გაკეთებული დასკვნები. კურსები უნდა ეხებოდეს არამარტო კანონს და პირადი თავისუფლებების დაცვას, არამედ მოიცავდეს მოდულებს მართვის პრაქტიკისა და მოსამართლეების დაპროკურორების შესაბამისი მისიების სწავლების შესახებ. ამავე დროს, ვიწრო მიდგომების თავიდან აცილების მიზნით არსებითია დამატებით მოხდეს წვლილის შეტანა ადვოკატების და აკადემიის მხრიდან. და ბოლოს, ტრენინგის ხარისხი და ეფექტურობა უნდა შეფასდეს რეგულარულად და ობიექტურად.

III. მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების როლი და ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესში

a. მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების როლების გადანაწილება სისხლის სამართლის წინასაპროცესო ეტაპზე

48. წინასაპროცესო ეტაპზე მოსამართლე დამოუკიდებლად, ან ზოგჯერ პროკურორთან ერთად უწევს ზედამხედველობას საგამომიებო ქმედებების კანონიერებას, განსაკუთრებით როდესაც ისინი გავლენას ახდენენ ძირითად უფლებებზე (გადაწყვეტილებები დაკავების, პატიმრობის, დაყადაღების, სპეციალური საგამომიებო ტექნიკის განხორციელების თაობაზე და სხვა).

49. როგორც წესი, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო პროკურორებმა გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს გამოძიების კანონიერება და მონიტორინგი გაუწიონ გამომძიებლების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვას.

⁵ იხ. CCJE-ს დასკვნა No. 4 (2003) მოსამართლეებისთვის ეროვნულ და ევროპულ დონეზე მოსამართლედ დანიშვნამდე და სამოსამართლო მოვალეობების შესრულების პროცესში სათანადო ტრენინგების შესახებ და CCJE-ს დასკვნა No. 10 (2007) საბჭო სასამართლო სისტემისთვის საზოგადოების სამსახურში, პარაგრაფის 65-72.

50. რეკომენდაცია Rec(2000)19 აღნიშნავს, რომ როდესაც საჯარო პროკურორებს გააჩნიათ ზემდგომი უფლებამოსილება პოლიციასთან მიმართებაში და როდესაც საპოლიციო გამოძიებები ტარდება პროკურორის მიერ ან პროკურორი ახორციელებს მათ ზედამხედველობას, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა უზრუნველყოს საჯარო პროკურორი შესაძლებლობით გასცეს ინსტრუქციები, ჩაატაროს შეფასება და განახორციელოს კონტროლი და დარღვევების სანქცირება. იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიცია დამოუკიდებელია საჯარო პროკურორებისგან, რეკომენდაციამხოლოდ აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა ადგილი ჰქონდეს სათანადო და ფუნქციონალურ თანამშრომლობას საჯარო პროკურორებსა და საგამომძიებო ორგანოებს შორის.

51. იმ სისტემებშიც კი, სადაც გამოძიებას ზედამხედველობს პროკურორი, რომლის სტატუსი ანიჭებს მას სასამართლო უფლებამოსილებებს, არსებითია ამ კოტეჯსტში განხორციელებული ნებისმიერი ზომა, რომელიც მოიცავს თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას, კერძოდ დროებით დაკავებას, ექვემდებარებოდეს მონიტორინგს მოსამართლის ან სასამართლოს მიერ.

b. უერთიერთობა მოსამართლეებსა და საჯარო პროკურორებს შორის სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში და სასამართლო მოსმენაზე

52. ზოგიერთ სახელმწიფოში, საჯარო პროკურორები არეგულირებენ საქმეთა ნაკადს დისკრეციული უფლებამოსილებით გადაწყვიტონ, თურომელი საქმეები იქნება გადაცემული სასამართლოში დარომელი საქმეები შეიძლება დასრულდეს სასამართლო პროცესის გარეშე (მორიგება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის, წინასაპროცესო მორიგება მხარეთა თანხმობით, საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებული გამარტივებული და შემოკლებული პროცედურა, მედიაცია და ა.შ.), რაც ხელს უწყობს სასამართლო სისტემაზე ტვირთის შემცირებას და ბრალდების პრიორიტეტების განსაზღვრას.

53. საჯარო სისხლის სამართლებრივ დევნის ასეთი უფლებამოსილებანი, რომლებიც ირეკლავენსისხლის სამართლის ადმინისტრირების მოდერნიზაციას, სოციალიზაციას, ჰუმანიზაციას და რაციონალიზაციას, სასარგებლოა სასამართლოს საქმეებით გადატვირთვის შემცირებისთვის. მეორეს მხრივ, თუ პროკურორებს გააჩნიათ უფლება არ წარმოადგინონ ზოგიერთი საქმე სასამართლოში, აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური ქმედებები, დისკრიმინაცია ან შესაძლო უკანონო წნეხი პოლიტიკური ძალების მხრიდან და დაზარალებულთა უფლებების დასაცავად. ასევე აუცილებელია საშუალება მიეცეს ნებისმიერ გავლენის ქვეშ მყოფ პირს, განსაკუთრებით დაზარალებულ პირს, მოითხოვოს პროკურორის იმ გადაწყვეტილების გადასინჯვა, რომლითაც გადაწყდა სისხლის სამართლებრივი დევნის არ დაწყება. ალტერნატიულად, შესაძლებელია დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა პირდაპიდ შეიტანოს საქმე სასამართლოში.

54. ამდენად, ქვეყნებში, სადაც ოპერირებს დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნის სისტემა, პროკურორმა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან არ დაწყების შესახებ გადაწყვეტილება კარგად უნდა აწონ-დაწონოს, ნებისმიერი სახელმძღვანელოს ან კრიტერიუმის გათვალისწინებით, რომელიც მიღებულია

სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანმიმდევრულობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

55. პროცესის განმავლობაში პროკურორების მიუკერძოებლობა შემდეგი ფორმით უნდა იქნეს აღქმული: მათ უნდა წარმართონ საქმე სამართლიანად და ობიექტურად, რათა უზრუნველყონ სასამართლო ყველა სათანადო ფაქტით და სამართლებრივი არგუმენტებით, განსაკუთრებით, ბრალდებულის სასარგებლოდ არსებული მტკიცებულების გამჟღავნებით; უნდა გაითვალისწინონ ბრალდებული პირის და დაზარალებულის პოზიცია; დაამოწმოს ყველა მტკიცებულების ისეთი საშუალებით მოპოვება, რომელიც იქნება დასაშვებად ცნობილი მოსამართლის მიერ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შესაბამისად დაუარი განაცხადოს ისეთ მტკიცებულების გამოყენებაზე, რომელიც მოპოვებულია ისეთი დამიანის უფლებათა დარღვევებით, როგორცაა წამება (დეკლარაცია, პარაგრაფი 6).

56. პროკურორები არ დაიწყებენ ან არ გააგრძელებენ სისხლის სამართლებრივ დევნას დამიიღებენ ყველა ზომას, რათა შეაჩერონ ასეთი დევნა, თუ მტკიცებულებების მიუკერძოებელი გამოძიება ან გადასინჯვა აჩვენებს, რომ ბრალდებები უსაფუძვლოა.

57. არსებითად, პროცესის მსვლელობისას მოსამართლეები და პროკურორები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის. მოსამართლე ზედამხედველობს საჯარო პროკურორის ან გამომძიებლების მიერ უზრუნველყოფილი მტკიცებულების კანონიერებას და შესაძლოა გაამართლოს ბრალდებული თუ სახეზეა არასაკმარისი ან არაკანონიერი მტკიცებულება. საჯარო პროკურორებს შეიძლება ჰქონდეთ უფლება გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება.

c. დაცვის მხარის უფლებები პროცესის ყველა დონეზე

58. მოსამართლეები სისხლის სამართლის პროცესის წესების გამოყენებისას პატივს უნდა სცემდნენ დაცვის უფლებებს (დაცვის ქვეშ მყოფის უზრუნველყოფა შესაძლებლობით ისარგებლონ უფლებებით, ბრალდებულის ინფორმირება წაყენებული ბრალის შესახებ და ა.შ.), პროცესზე დაზარალებულების უფლებებს, საქმის მომზადებისთვის მხარეთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის პრინციპს და საჯარო მოსმენის უფლებას, რათა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება იყოს გარანტირებული ყველა საქმეზე ⁶ (დეკლარაცია, პარაგრაფი 1, 2, 6 და 9).

59. საბრალდებო აქტი კრიტიკულ როლს თამაშობს სისხლის სამართლის პროცესში: მისი გაცემის მომენტიდან დაცვის მხარე ფორმალურად წერილობით არის ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე

⁶ იხ. CCJE-ს დასკვნა No. 8 (2006) მოსამართლეების როლზე კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში ტერორიზმის კონტექსტში.

კამასინსკიავსტრიის წინააღმდეგ, § 79). სისხლის სამართლის პროცესში, ECHR მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით მოთხოვნილი “სამართლიანი სასამართლო განხილვის” უფლებიდან გამომდინარეობს, რომ დაცვის მხარეს უნდა ქონდეს უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მათ წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულება, ისევე როგორც ბრალის სამართლებრივი საფუძველი.

60. ქვეყნებში, სადაც გამოძიებას საჯარო პროკურორები უწევენ ზედამხედველობას, ასევე პროკურორის ვალდებულებაა უზრუნველყოს დაცვის მხარის უფლებების პატივისცემა. ქვეყნებში, სადაც სისხლის სამართლებრივი გამოძიება წარიმართება პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ, მოსამართლეები ჩართულნი არიან, როგორც ინდივიდუალური თავისუფლებების (*habeas corpus*) გარანტორები, განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის საქმეებზე და მათი მოვალეობაა უზრუნველყონ დაცვის ქვეშ მყოფი პირების უფლებების პატივისცემა.

61. ბევრ ქვეყანაში მოსამართლე და პროკურორი პასუხისმგებელნი არიან დაცვის უფლებების განხორციელებაზე მონიტორინგზე მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ, როდესაც იწყება ბრალდების განხილვა. ამ ეტაპზე გამოძიების თაობაზე ანგარიშის მიმღები პროკურორის და იმ მოსამართლის, რომელიც განიხილავს წაყენებულ ბრალს და მოძიებულ მტკიცებულებას, მოვალეობაა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც წაუყენეს ბრალი სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ინფორმირებულია დროულად მისთვის გასაგებ ენაზე დეტალურად, წაყენებული ბრალის ხასიათისა და მიზეზების შესახებ.

62. შესაბამის ქვეყანაში მათი როლიდან გამომდინარე, პროკურორები და მოსამართლეები უნდა უზრუნველყოფდნენ პირსაკმარისი დროით და შესაძლებლობებით მოამზადოს საკუთარი დაცვა, რათა მოხდეს მისი დაცვა სათანადოდ, საჭიროების შემთხვევაში ოფიციალურად დანიშნული სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული ადვოკატის მიერ და საჭიროებისამებრ თარჯიმნით, რომ შეეძლოს მოითხოვოს გარკვეული ქმედებების განხორციელება საქმეზე სიმართლის დასადგენად.

63. მას შემდეგ, რაც საქმეზე დაიწყება საპროცესო განხილვა სასამართლოში, მოსამართლისა და პროკურორის უფლებამოსილებები განსხვავდება პროცესში მათი როლების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სახეზეა დაცვის მხარის რომელიმე უფლების მიმართ უპატივცემულობა, მოსამართლეს ან პროკურორს, ან ორივეს, გამომდინარე ეროვნული სისტემის თავისებურებებიდან, უნდა შეეძლოს აღნიშნულ სიტუაციაზე ყურადღების გამახვილება და მისი ობიექტურად მოგვარება.

IV. ურთიერთობა მოსამართლეებსა და საჯარო პროკურორებს შორის სისხლის სამართლის სფეროს მიღმა და უზენაეს სასამართლოებში

64. იმისდა მიხედვით, თუ რომელს სახელმწიფოში საქმიანობენ, პროკურორებს შეიძლება გააჩნდეთ ან არ გააჩნდეთ მოვალეობები და ფუნქციების სისხლის სამართლის სფეროს მიღმა.⁷ იქ, სადაც პროკურორებს გააჩნიათ ასეთი მოვალეობები

⁷ იხ. მაგ. CCPE-ს დასკვნა N°3 “სისხლის სამართლის სფეროს მიღმა საჯარო პროკურატურის როლის შესახებ”.

და ფუნქციები, ეს შეიძლება მოიცავდეს, სხვათა შორის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, კომერციულ, სოციალურ, საარჩევნო და შრომის კანონმდებლობას, ისევე როგორც გარემოს დაცვის და ისეთი მოწყვლადი ჯგუფების სოციალური უფლებების დაცვას, როგორებიცაა მცირეწლოვნები, უნარშეზღუდული და დაბალშემოსავლიანი პირები. პროკურორთა როლი ამ თვალსაზრისით არ უნდა აძლევდეთ მათ სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არასათანადო გავლენის მოხდენის საშუალებას (დეკლარაცია, პარაგრაფი 13).

65. ასევე უნდა აღინიშნოს ის როლი, რომელიც საჯარო პროკურორებს გააჩნიათ ზოგიერთ ქვეყანაში უზენაესი სასამართლოს წინაშე. ეს როლი შეიძლება შევადაროთ გენერალური ადვოკატის როლს ევროკავშირის სასამართლოს წინაშე. ამ იურისდიქციებში, გენერალური ადვოკატი (ან მისი ექვივალენტი) არ არის მხარე და არ წარმოადგენს სახელმწიფოს. ის დამოუკიდებელი ავტორიტეტია, რომელიც ადგენს დასკვნებს თითოეულ საქმეზე ან მხოლოდ განსაკუთრებული ინტერესის საქმეებზე, იმისთვის, რომ სასამართლოსთვის განმარტოს კანონთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რომელიც მის წინაშეა დასმული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კანონის სწორად გამოყენება.

66. დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისად საჯარო პროკურორების ყველა ეს უფლებამოსილება კონკრეტულად უნდა იყოს დადგენილი კანონით. ასევე ყველა პროცედურა აღნიშნული უფლებამოსილებების განსახორციელებლად კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით. როდესაც პროკურორები მოქმედებენ სისხლის სამართლის სფეროს მიღმა, მათ პატივი უნდა სცენ მოსამართლისა და სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას გაითვალისწინოს ის პრინციპები, რომლებიც განსაკუთრებით განვითარდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში შემდეგი სახით:

- i. ბრალდების მონაწილეობამ სასამართლო პროცესში არ უნდა იქონიოს გავლენა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე;
- ii. სისხლის სამართლის სფეროს მიღმა პროკურორების მოვალეობებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ერთის მხრივ პატივი უნდა ეცეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ხოლო მეორეს მხრივ სასამართლოს როლს დაიცვას ადამიანის უფლებები;
- iii. საჯარო ინტერესის წარმოდგენის პრეროგატივის გათვალისწინებით, პროკურორებს უნდა გააჩნდეთ იგივე უფლებები და ვალდებულებები, როგორც ნებისმიერ სხვა მხარეს და არ უნდა სარგებლობდნენ პრივილეგირებული პოზიციით სასამართლო პროცესზე (*თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი*);
- iv. საზოგადოების სახელით სახელმწიფო ბრალდების სამსახურის ქმედებები საჯარო ინტერესის დასაცავად და პირის უფლებები ვერ დაარღვევენ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალის

პრინციპს (*res judicata*) ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით, რომლებიც ჩამოყალიბდა საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მათ შორის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

სხვა პრინციპები, რომლებიც მოხსენებულია დეკლარაციაში ვრცელდება საჯარო პროკურორების ყველა ფუნქციაზე სისხლის სამართლის ფარგლებს მიღმა, (დეკლარაცია, პარაგრაფი 13).

V. მოსამართლეები, საჯარო პროკურორები და მედია (დეკლარაცია, პარაგრაფი 11)

67. მედია განსაკუთრებულ როლს ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში ზოგადად და უფრო კონკრეტულად სასამართლო სისტემასთან მიმართებაში. საზოგადოების მიერ სასამართლოს ხარისხის აღქმა ძალიან მნიშვნელოვნად არის მოქცეული სასამართლო სისტემის მუშაობის შესახებ მედია ანგარიშების გავლენის ქვეშ. საჯაროობას თავისი წვლილი შეაქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფაზე, ვინაიდან ის იცავს მოსარჩელე და დაცვის ქვეშ მყოფი მხარეების სამართლის გაუმჭვირვალე ადმინისტრირებისგან.

68. მზარდმა საზოგადოებრივმა და მედია ყურადღებამ სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო პროცესისადმი გამოიწვია მედიისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მზარდი საჭიროება როგორც სასამართლოსგან, ისე საჯარო პროკურორებისგან.

69. დემოკრატიული საზოგადოებაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა⁸. პროცესის საჯარო ხასიათი ერთერთი არსებითი საშუალებაა სასამართლოსადმი ნდობის შესანარჩუნებლად.

70. ევროპის საბჭოს ფარგლებში ორი დოკუმენტი ეხება ამ საკითხს: ა) რეკომენდაცია Rec (2003)13 სისხლის სამართლის პროცესის თაობაზე მედიის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდების შესახებ, და ბ) CCJE-ს დასკვნა No. 7 სამართლისა და საზოგადოების შესახებ (2005).

71. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების უფლებას მიიღოს ზოგადი ინტერესის ინფორმაცია, ჟურნალისტებს უნდა მიეწოდოთ საჭირო ინფორმაცია იმისთვის, რომ შეეძლოთ გადასცენ ინფორმაცია და კომენტარი გააკეთონ სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ, მიმდინარე საქმეების თაობაზე მოსამართლეებისა და პროკურორების დისკრეციის ვალდებულების გათვალისწინებით და ეროვნული სამართლის მიერ დაწესებული შეზღუდვების და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დაცვით.

72. მედია, ისევე როგორც მოსამართლეები და საჯარო პროკურორები, პატივს უნდა სცემდნენ ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა უდანაშაულობის

⁸ამ საკითხზე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე, *ოლუჯიკი ხორვატიის წინააღმდეგ*, (განაცხადი no. 22330/05).

პრეზუმფცია⁹ და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, შესაბამისი პირის პირადი ცხოვრების უფლება, საქმეში ჩართული მოსამართლეებისა და საჯარო პროკურორების „მიუკერძოებლობის შთაბეჭდილების,, პრინციპის დარღვევის თავიდან აცილების საჭიროებას.

73. გამოძიების ან პროცესის ქვეშ მყოფი საქმეების მედიაფარვა შეიძლება გახდეს უხეში ჩარევა და გამოიწვიოს არასასურველი ზეგავლენა და წნეხი საქმეზე მომუშავე მოსამართლეებზე, ნაფიც მსაჯულებზე და საჯარო პროკურორებზე. მოსამართლეებს და საჯარო პროკურორებს ესაჭიროებათ კარგი პროფესიული უნარჩვევები, მაღალი ეთიკური სტანდარტები და ძლიერი თავშეკავება მიმდინარე საქმის თაობაზე ნაადრევი კომენტარების გაკეთებისგან.

74. მედიასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, მაგალითად საჯარო ინფორმაციის ოფიცერს ან მოსამართლეებისა და პროკურორების ჯგუფს, რომელიც მომზადებულია მედიასთან ურთიერთობისთვის, შეუძლია დაეხმაროს მედიას უზრუნველყოს სწორი ინფორმაცია სასამართლოს მუშაობისა და გადაწყვეტილებების შესახებ და ასევე დაეხმაროს მოსამართლეებსა და პროკურორებს.

75. მოსამართლეები და პროკურორები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთის სპეციალურ როლს სამართლის სისტემაში. მოსამართლეებმა და პროკურორებმა უნდა შეიმუშაონ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო ან კოდექსი თითოეული პროფესიისთვის მისი მედიასთან ურთიერთობის თაობაზე¹⁰. ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული ეთიკის კოდექსი მოითხოვს მოსამართლეებისგან თავის შეკავებას საჯარო კომენტარებისგან მიმდინარე საქმეების შესახებ, რათა არ მოხდეს ისეთი განცხადებების გაკეთება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ საზოგადოების ეჭვი მოსამართლეების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით¹¹ და რათა აიცილონ თავიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლეებმა უნდა გამოხატონ თავიანთი აზრი უპირველეს ყოვლისა თავიანთი გადაწყვეტილებების მეშვეობით; დისკრეცია და სიტყვათა არჩევანი მნიშვნელოვანია იქ, სადაც მოსამართლეები განცხადებებს აკეთებენ მედიის წინაშე მიმდინარე ან კანონის შესაბამისად გადაწყვეტილი საქმეების თაობაზე¹². საჯარო პროკურორებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მოსამართლის მიერ ჩატარებული პროცესის ან გამოტანილი განაჩენის კომენტარებისას, როდესაც ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან ასეთ გადაწყვეტილებას გასაჩივრებით, შესაბამისად.

VI. მოსამართლეები, პროკურორები და საერთაშორისო თანამშრომლობა (დეკლარაცია, პუნქტი 12)

⁹ იხ. მათ შორის: რეკომენდაცია Rec (2003)13-ის დანართში მოცემული I პრინციპი და შესაბამისი ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი.

¹⁰ შეთავაზებული მოსამართლეებისთვის და ჟურნალისტებისთვის CCJE-ს No. 7 დასკვნით საზოგადოებისა და მართლმსაჯულების შესახებ, პარაგრაფი 39 (2005).

¹¹ იხ. მაგალითის სახით CCJE-ს დაკსნვა No. 3 მოსამართლეების ეთიკისა და პასუხისმგებლობის შესახებ, პარაგრაფი 40 (2003).

¹² იხ. მაგალითის სახით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ* (განაცხადი no. 42095/98) და *ოლუჯიკი ხორვატიის წინააღმდეგ*, (განაცხადი no. 22330/05).

76. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის იმ ღირებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ასახულია შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებში, განსაკუთრებით ECHR-ში. საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას. საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად მოპოვებული და სასამართლო პროცესზე გამოყენებული ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე შინაარსის და წარმოშობის, ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსამართლეებისთვის, საჯარო პროკურორებისთვის და მხარეებისთვის. არ უნდა შედგეს საერთაშორისო სასამართლოების თანამშრომლობა სასამართლო მონიტორინგის და სათანადო ანგარიშგების გარეშე, განსაკუთრებით, დაცვის უფლებისა და პირადი მონაცემების დაცვის უფლების გათვალისწინების გარეშე.